

სარეგისტრაციო ჟურნალების და ბარათების შესყიდვა
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

CPV 22810000 - ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურების ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად. **(იხ. <http://procurement.gov.ge/>)**

ქალაქი ქობულეთი
2013 წელი

შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 1850 (ერთიათას რვაასორმოცდაათი) ლარი.

1. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

ა) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები დანართი №1-ის მიხედვით, პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული;

ბ) ფასების ცხრილი დანართი №2-ის შესაბამისად, პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული;

2.1 სატენდერო წინადადების ფასი

2.1. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს: საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებათან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.2 სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია: მხოლოდ ლარში.

3.1 ანგარიშსწორების პირობები

3.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმებისა და შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენის შემდეგ.

3.2 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4. მიწოდების პირობები და ვადები

4.1. მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთ ეტაპად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში;

4.2. მიწოდების ადგილი: ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №13.

5. დამატებითი ინფორმაცია:

5.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია შემდეგ მისამართზე ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №13, ტელ: 577 20-59-95 ავთანდილ რომანაძე.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ხელშეკრულება

ქ. ქობულეთი

..... 2012 წელი

ერთის მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი 141) ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ელგუჯა ბაგრატიონის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ.....სახით (შემდგომში მიმწოდებელი), გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად (სატენდერო განცხადება NSPA-----, კლასიფიკატორის) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

- 1.1. შესყიდვის ობიექტი: სარეგისტრაციო ჟურნალები და ბარათები (CPV 22810000 - ქალაქის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები).
- 1.2. შესყიდვის ობიექტის ოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი N2-ში), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და სტანდარტები

- 2.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.
- 2.2. მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
- 2.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გარეშე.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 3.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
- 3.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს უფლებამოსილი პირები.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, პირობები და ადგილი

- 4.1. მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთ ეტაპად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში;
- 4.2. მიწოდების ადგილი: ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №13.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება – ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.2. საქონლის მიღება-ჩაბარებაზე შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ უფლებამოსილი პირები.

6. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებულ შესყიდვის ობიექტზე მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმებისა და შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენის შემდეგ 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7. ფასები

ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო ღირებულების 1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე.

11. ფორს მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუფხავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. გადასახადები და დაბეგრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე, რომლებიც გადასახადელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2013 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელს, ხოლო ოთხი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. „შემსყიდველი“–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

17.1 „შემსყიდველი“–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;

17.2 „შემსყიდველი“–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LBO120113125552000**, საიდენტიფიკაციო კოდი **247001890**;

17.3 „შემსყიდველი“ – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

18. „მიმწოდებელი“–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

21.1 „მიმწოდებელი“–ს მისამართი:

21.2 „მიმწოდებელი“–ს საბანკო რეკვიზიტები:

21.3 „მიმწოდებელი“ –

„შემსყიდველი“ – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ელგუჯა ბაგრატიონი

„მიმწოდებელი“ –

რეკვიზიტები

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ☎ ტელ.: ; 📠 ფაქსი.: ; 📱 მობ.: ;
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

(პრეტენდენტის დასახელება)

(ხელის მოწერა და ბეჭედი)